MES 2 23 0000746041

22/06/2023

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 8 ივნისს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.
https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს წევრი.
ნატალია კვაჭანტირაძე- საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში- ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

თამარ კვინიკაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- თეა ლილუაშვილი
- ალექსანდრე კეკენაძე
- მანანა მოისწრაფიშვილი
- თაბუკა ციმინტია
- ცოტნე ქორჩილავა
- დავით გუდაძე
- ქეთევან ჯანელიძე
- მაია ომიაძე
- ნანა შათირიშვილი
- თამარი ზარანდია
- ირმა ანთია
- ნათია იორდანიშვილი
- ავქსენტი პაპავა
- მანანა მოისწრაფიშვილი
- ვერიკო ჭიღლაძე
- ქეთევან გელაშვილი
- სოფიო გოხელაშვილი
- მზია ბერუაშვილი
- ალექსანდრე ჩალთაშვილი
- გენადი კვერენჩხილაძე
- ირმა არსენაშვილი
- ეკატერინე ნანობაშვილი
- დავით გუდაძე
- ქეთევან ღვანიძე

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლა
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - დარეჯან ბეგიაშვილი
ხარისხის მართვის მენეჯერი - ნინო ხვედელიძე

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი
დირექტორი - თეიმურაზ ლორთქიფანიძე
ხარისხის მართვის მენეჯერი - ნინო ძაგანია
სასწავლო პროცესის მენეჯერი - მარიამ პაპაიაშვილი

სსიპ - კოლეჯი „ფაზისი“
დირექტორი - ნინო ბაკურაძე
ხარისხის მართვის მენეჯერი - ეკატერინე ფოჩხუა

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი
დირექტორი - თეიმურაზ ასათიანი
ხარისხის მართვის სპეციალისტი - ნინო რამიშვილი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.

ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

1.„სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №86 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - კოლეჯ „ფაზისში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამაში „სასტუმროს მომსახურება“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებში - „მეხილეობა“, „მეფუტკრეობა“, „სატყეო საქმე“, „რძის პროდუქტების წარმოება“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებში - "მებაღეობა", "მევენახეობა და მეღვინეობა", " ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება", "ვეტერინარია", "კულინარიის ხელოვნება", "რძის პროდუქტების წარმოება", "აღმზრდელი", "ელექტროობა", "სასმელების წარმოება", "მეხილეობა" განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

პირველი საკითხი: „სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №86 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვით აცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვით აცილება

- **არა**

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა, მისი განცხადებით, დაწესებულებამ ცვლილება შეიტანა საგანმანათლებლო პროგრამაში „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია“, ორკრედიტიანი სამოქალაქო მოდული ჩანაცვლდა სამ კრედიტიანი მოდულით, შეიცვალა აღნიშნული პროგრამის მოცულობა და გახდა 80 კრედიტი არაინტეგრირებულის ქართულენოვანი სტუდენტებისთვის და 95 კრედიტი არაინტეგრირებულის არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის. დაწესებულების განცხადებით გასულ წელს არ ჰქონიათ აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღება, შესაბამისად არ დარღვეულა ის ვადები, რომლითაც ახალი ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის ეს მოდული უნდა ასახულიყო პროგრამაში. მისი განცხადებით, პროგრამის დანარჩენი პარამეტრები უცვლელი იყო, რაშიც მოიაზრება ზღვრული რაოდენობა 22, მისამართი ქარელის მუნიციპალიტეტი დაბა აგარა, აღმაშენებლის 8, პროგრამის დასახელება „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია“, დონე მესამე , მისანიჭებელი კვალიფიკაცია საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში. მეორე პროგრამის „ელექტროობა“ პარამეტრები , რომელიც ამავე გადაწყვეტილებაში შედიოდა, უცვლელი რჩება.
თამარ კვინიკაძის განცხადებით, ჩარიცხვის წესი იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ რეგისტრაციის პერიოდში გაეხსნათ ანკეტა-კითხვარი დამატებით ისეთი პროგრამებისთვის, რომელიც ასეთი ტიპის ცვლილებას საჭიროებდა, აღნიშნული მხარდაჭერილი იყო განათლების სამინისტროს მიერ და ასევე პროგრამები, რომლებზეც წარმოება დაწყებული იყო ანკეტა-კითხვარების გახსნის პროცესში და არ იყო დასრულებული.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №86 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი .

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,ცვლილება განხორციელდეს „სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლისათვისსაგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №86გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით **(დ ანართი 1).**

მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე თეა ლილუაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 10 მაისს სსიპ-განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2023 წლის 4 მაისის N500143 ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შემოწმების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფი წინასწარ გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს და მტკიცებულებებს, რის საფუძველზეც შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის მიმდინარეობისას შეისწავლა პროგრამის დაგეგმვა, განხორციელება, შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, გაეცნო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებს და სასწავლო გარემოს, შეისწავლა განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, ჩაატარა გასაუბრებები კოლეჯის ადმინისტრაციასთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან. ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე მომზადდა დასკვნა.

ექსპერტთა ჯგუფს ხარვეზები და შესაბამისობის რეკომენდაციები არ დაუფიქსირებია.
გაიცა **განვითარების რეკომენდაციები:**
2.1.1(2) დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები და ჩარიცხვის წესი, რომლითაც განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი -10 ქულა, რეგულაციაში არ ჩანს შეფასების მაქსიმალური ქულა. განვითარების რეკომენდაცია: რეგულაციაში განისაზღვროს მაქსიმალური ქულა ან მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვროს პროცენტებში.
2.2.1(3) რეკომენდებულია დაწესებულებამ პროგრამის განხორციელების დაწყებამდე უზრუნველყოს ტრენინგები იმ განმახორციელებელი პერსონალისთვის, რომლებიც მოდულური პროგრამების სწავლებაში პირველად ერთვებიან.
2.3.1 პროგრამის შეფასების კითხვარებიდან ამოღებულ იქნას ისეთი კითხვები, რომლებიც იძლევა რესპოდენტის იდენტიფიცირების საშუალებას, რითაც დაწესებულება შეძლებს, რაც შეიძლება გულწრფელი იყვნენ რესპოდენტები შეფასებისას, დაიცავს კვლევის ეთიკის წესებს. დაბადების თარიღის ნაცვლად ატრიბუტ კითხვებად შესაძლებელია გამოყენებული იყოს ასაკობრივი ჯგუფები, რასაც კოლეჯი გამოიყენებს მონაცემების ასაკობრივ ჭრილში ანალიზისას. ასევე ჩარჩო დოკუმენტებში ცვლილების საჭიროებისას ადრესატად განსაზღვროს ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა"

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იყო დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულება გეგმავდა პროგრამა განახორციელოს ქ. თბილისში ნინოშვილის N55-ში მდებარე სასწავლო ფართში. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება - 24 პროფესიული სტუდენტით (2 ცვლაში). საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრული იყო A, და B გარემო, A გარემო რომელშიც განთავსებული იყო - მაგიდები და სკამები პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული მასწავლებლისთვის განთავსებულია ერთი მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, დაფა და პროექტორი. B გარემო სადაც განთავსებულია: კომპიუტერები პროფესიული სტუდენტებისათვის, ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის და შესაბამისი რაოდენობის სამუშაო ადგილი, პრინტერი, პროექტორი, დაფა, კარადა, და აქვე განლაგებულია დარგობრივი სწავლებისთვის განკუთვნილი, სტანდარტით გათვალისწინებული აღჭურვილობა. ექსპერტთა შეფასებით,

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იყო დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ექსპერტის განცხადებით, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყო 7 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 2 დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებელი. პირადი საქმეების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ თითოეული მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. გათვალისწინებული იყო პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატებოდა 40 საათს. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულებას გამოცემული აქვს 2023 წლის 13 აპრილის N03-05 ბრძანება პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული იყო შეთანხმება. ექსპერტთა შეფასებით პროგრამას ჰყავდა კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც არის CISCO-ს ინსტრუქტორი. ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება. ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომი იყო ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სასწავლო გეგმას ჰქონდა თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიული სტუდენტის კვირეული სასწავლო დატვირთვა არ აღემატებოდა 40 საათს. პროგრამა მოიცავდა სასწავლო გეგმებს ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული იყო კალენდარული გეგმის შედგენის მეთოდოლოგია და წარმოდგენის ფორმა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ სასწავლო გეგმა უზრუნველყოფდა პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცული იყო პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა. სასწავლო პროცესი ითვალისწინებდა სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის/პირების სწავლის პროცესში ჩართულობას კოლეჯი უზრუნველყოფდა ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნით, რაც გულისხმობს: სასწავლო ფართის ადაპტირებას, სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, საჭიროების შემთხვევაში სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტებით, ჟესტური ენის თარჯიმნებითა და სპეციალური ასისტენტებით უზრუნველყოფას. დაწესებულებას სსს მქონე პროფესიული სტუდენტი ან მსმენელი არ ჰყოლია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, რომელი პროგრამით მიიღო ავტორიზაცია აღნიშნულმა კოლეჯმა და რატომ აღარ ახორციელებდა ავტორიზებული დაწესებულება რაიმე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

ექსპერტის განცხადებით, ის საკვალიფიკაციო პროგრამები, რომლებსაც ახორციელებდა დაწესებულება ავტორიზებულ რეჟიმში, გაუქმდა, შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტების გაუქმების გამო. დაწესებულებამ ახალი ჩარჩო დოკუმენტების შექმნის ინიცირებით მიმართა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს , თუმცა პროფესიის სტანდარტის /საგანმანათლებლო

სტანდარტის შემუშავებისა და დამტკიცების ახალი რეგულაციებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება ახალი მეთოდოლოგიით უნდა წარმოებდეს, ხოლო მათი დამტკიცება ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს ფუნქციებში გადავიდა, შესაბამისად მოხდა პროცესის შეფერხება ამ ეტაპზე.

თამარ კვინიკაძის განცხადებით, სამინისტრო ემხრობა აღნიშნული პროგრამის დამატებას, რადგან შრომის ბაზარზე ძალიან მოთხოვნადია, რაც შეეხება დაწესებულების პროფილის შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებს, მან ასევე დაადასტურა, რომ მათი დამტკიცება ობიექტური მიზეზების გამო შეფერხებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, გარდა საგნობრივი პროგრამებისა კოლეჯი ორ მოდულურ პროგრამას ახორციელებდა, მაგრამ პროგრამების ოპტიმიზაციის შემდგომ, „მასაჟისტ-რეაბილიტატორის“ პროგრამა საერთოდ გაუქმდა. 2019 წელს დაწესებულება 5 პროგრამას ახორციელებდა, აქედან ორი იყო მოდულური და სამი საგნობრივი. 2021 წელს შემუშავდა ბოლო პროგრამა, იქედან გამომდინარე, რომ დაიწყო პანდემია და ამ პერიოდში სწავლა არ მიმდინარეობდა. მოდულური პროგრამა „ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი“ დასრულდა 2021 წელს და შემდეგ უკვე დაწესებულებამ დაიწყო „სპორტული ინსტრუქტორის“ პროფესიული სტანდარტის შემუშავება და კოლეჯი ინიცირებით წარდგა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის წინაშე, თუმცა ამ დროისთვის ჩამოყალიბდა პროფესიული უნარების სააგენტო და პროცესი გაიწელა. ამ დროისთვის კოლეჯში მოქმედებს 11 მომზადება-გადამზადების პროგრამა სპორტული მიმართულებით. რაც შეეხება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაკეთებულ შენიშვნებს და რეკომენდაციებს, დაწესებულებამ განახორციელა ცვლილებები .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, იცნობს თუ არა დაწესებულება პროფესიის სტანდარტის/საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავების ახალ მეთოდოლოგიას და იყო თუ არა დაწესებულება მზად, ახალი მეთოდოლოგიის საფუძველზე შეiმუშავოს პროგრამები, ვინაიდან დაწესებულების მიერ ინიცირებული პროგრამები შემუშავებული იყო ძველი მეთოდოლოგიით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, კოლეჯმა მჭიდრო კავშირი დაამყარა პროფესიული უნარების სააგენტოსთან. მისი თქმით, ახალი მეთოდოლოგიის საფუძველზე პროფესიის სტანდარტის/საგანმანათლებლო სტანდარტის შემიშავების პროცესი დაწყებულია და ამაში მათ პროფესიული უნარების სააგენტოს სპეციალისტები ეხმარებიან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს განხილულ საკითხთან მიმართებით კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 2).**

მესამე საკითხი: სსიპ - კოლეჯ „ფაზისში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მანანა მოისწრაფიშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, ა.წ. 29-31 მარტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი „სსიპ კოლეჯში "ფაზისი" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2023 წლის 21 მარტის N318238 ბრძანების შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "გ", "დ", "ე" ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ინფორმაციის ტექნოლოგია" და " ელექტროობა" 31-ე მუხლის-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შემოწმების მიზნით. ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტამდე შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეიკრიბნენ zoom-ის საშუალებით, განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად წამოჭრილი საკითხები, შეიმუშავეს ვიზიტის დღის განრიგი. 2023 წლის 29 და 30 მარტს ქ. ფოთში, კონსტიტუციის ქ. N54 -ში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა განახორციელეს სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ ინსტიტუციური სტანდარტების შეფასება დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის განრიგის დაცვით. ვიზიტის ფარგლებში მათ მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარებული იქნა ინტერვიუები პერსონალთან, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რევიზირებული იქნა კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები. 2023 წლის 30 მარტს დარგის ექსპერტის მიერ ქ. ფოთში გადამოწმებული იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ინფორმაციის ტექნოლოგია" ფარგლებში ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობა, 31 მარტს კი ავტორიზაციის ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა ხობის მუნიციპალიტეტის, სოფ. ნოჯიხევში, ამავე დღეს, ხობის მუნიციპალიტეტში დარგის ექსპერტმა გადაამოწმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ელექტროობაც". ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოჯიხევში განლაგებული ფილიალის მართვა ხდება ცენტრალიზებულად ქ. ფოთიდან, ადგილზე კი მუშაობენ სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, ბიბლიოთეკარი და დარაჯები. დარგის და განათლების ექსპერტები ვიზიტის ფარგლებში ქ. ფოთში და ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოჯიხევში გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებს და განმახორციელებლებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, შეაფასეს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, დაათვალიერეს მათი ფაქტობრივი მდგომარეობა, ფლობის დოკუმენტაცია, შეიმუშავეს რეკომენდაციები. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში, 2023 წლის 31 მარტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულებას წარუდგინა პრეზენტაცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯერებული მიგნებების შესახებ.

შესაბამისობის რეკომენდაციები

1.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაში იყო, სტრატეგიულ გეგმაში არ იყო მოცემული შესრულების ინდიკატორები, რაც დაწესებულებამ წინასწარ უნდა განსაზღვროს და გაწეროს. აღნიშნულის შესასრულებლად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით 6 თვის განმავლობაში განხორციელდება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების გადახედვა.

1.2.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაში იყო, რადგან დაწესებულება არ ახორციელებდა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. აღნიშნულის შესასრულებლად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა, რომლის

მიხედვით 6 თვის განმავლობაში განხორციელდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი, ანგარიშების მომზადება და შეფასება, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

1.2.2.2. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაში იყო, რადგან დაწესებულება სათანადოდ არ რეაგირებდა შეფასების შედეგებზე. აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით 6 თვის განმავლობაში განხორციელდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი, ანგარიშების მომზადება და შეფასება, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

4.1.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაში იყო, რადგან დაწესებულებას თანამშრომელთა პირად საქმეში არ ჰქონდა სექსუალური ძალადობისა და შევიწროების შესახებ ცნობა წარმოდგენილი, რომლის აღმოსაფხვრელად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა და 6 თვის განმავლობაში განხორციელდება კოლეჯის თანამშრომელთა სქესობირივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ" ცნობების წარმოდგენა.

4.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაში იყო, რადგან დაწესებულებაში არ ხორციელდებოდა პერსონალის განვითარება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით, რომლის აღმოსაფხვრელად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა და 6 თვის განმავლობაში განხორციელდება კვლევების ჩატარება, ჩატარებული კვლევის შედეგების შეფასება, მათი შედეგების ანალიზის საფუძველზე პერსონალის განვითარების გეგმის გაწერა და ამ გეგმით პერსონალის განვითარება.

5.1.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაში იყო, რადგან კოლეჯს არ ჰქონდა უზრუნველყოფილი დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომების დაცვა, აღნიშნულის აღმოსაფხვრელად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა და 6 თვის განმავლობაში განხორციელდება მეხამრიდებისა და სახანძრო სიგნალიზაციის - ხანძარქრობის სისტემის მოწყობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა შპს "ნეოტეკის" მიერ, სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება (CPV კოდი 71320000) მეხამრიდებისა და სახანძრო სიგნალიზაციის - ხანძარქრობის სისტემის მოწყობითი სამუშაოებისთვის.
5.1.2.3. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაში იყო, რადგან დაწესებულებაში არ მოქმედებდა საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, რომლის აღმოსაფხვრელად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა და 6 თვის განმავლობაში განხორციელდება სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი" (ფოთისა და ხობის ლოკაციებისათვის) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება.

პროგრამული სტანდარტები
2.4.2.2. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაში იყო, რადგან დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა (ვერიფიკაცია) არაა სრულყოფილად და ნათლად გაწერილი და მისი შემსრულების შერჩევისას ინტერესთა კონფლიქტი არ არის გამორიცხული. აღნიშნულის აღმოსაფხვრელად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა და 6 თვის განმავლობაში განხორციელდება: შეფასების სისტემის (ვერიფიკაციის) გადახედვა, ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის

განსაზღვრა, ვერიფიკაციის პროცედურების, რისკებისა და ფორმების შემუშავება, ვერიფიკაციის წლიური გეგმის შემუშავება, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე პირთა განსაზღვრა ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის გათვალისწინებით.

განმავითარებელი რეკომენდაციები

1.2.1.2. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული დაგეგმარების ფარგლებში გაწეული სამუშაო შეხვედრების, აქტივობების და უკუკავშირების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მტკიცებულებების სახით დაარქივება;

1.2.1.3. სასურველია სამოქმედო გეგმაში მეტად დაკონკრეტდეს საჭირო რესურსები და მათი წყაროები, ასევე სასურველია თითოეული ამოცანისთვის გაიწეროს შესრულების კრიტერიუმებიც. სასურველია, კოლეჯის საქმიანობის მეტი გამჭვირვალობისთვის და მისი განვითარების დინამიკის მარტივი აღქმისთვის ვებგვერდზე განთავსებული იყოს წინა წლების სამოქმედო გეგმებიც და მათი შესრულების ანგარიშები;

3.1.1.1. სასურველია დაწესებულებამ რეგულაციაში გაწეროს საქართველოს ფარგლებს გარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების პირობები;

3.2.1.5. სასურველია დაწესებულებამ განავითაროს პროფესიულ სტუდენტთა კვლევის კითხვარები და ფოკუსირება მოახდინოს პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებაზე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესებისთვის .

4.1.1.1. სასურველია დაწესებულებამ ნათლად გამიჯნოს სტრუქტურული ერთეულების/პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები და ასევე, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის პოზიციისთვის დაამატოს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობების აღწერა;

4.2.1.1 სასურველია დაწესებულებამ დახვეწოს და განავითაროს კვლევის კითხვარები და ისინი თითოეული შესაფასებელი პოზიციისთვის რელევანტური საჭიროებების გამოვლენას მოარგოს.

4.2.1.5. სასურველია დაწესებულებამ გაწეროს პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და განხორციელების პროცედურები.

5.1.2.4. სასურველია, დაწესებულებამ შესაბამის საშტატო ერთეულზე ან ერთეულებზე განსაზღვროს ვიდეოსათვალთვალო კამერებზე პასუხისმგებელი პირები როგორც ტექნიკურ, ასევე პროგრამულ ნაწილში.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილი იყო კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები, თუმცა რეგულაციაში არ იყო ასახული საქართველოს ფარგლებს გარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების პირობები. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი იყვნენ შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლებენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით. , დაწესებულებებსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცული იყო პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებული იყო არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროფესიული სტუდენტი დაწესებულებისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით, სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ საქმიანობა უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. კოლეჯის დამტკიცებულია „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა“ და ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული შესაბამისი კომპეტენციის მქონე სერტიფიცირებულ უსაფრთხოების სპეციალისტთან, რომელიც უზრუნველყოფდა კოლეჯის ორივე ლოკაციაზე შრომის უსაფრთხოებას. ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით კოლეჯში მოქმედებდა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებდა დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას . კოლეჯის პერსონალის, პროგრამის განმახორციელებლებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იყო ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებული ოყო საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯში უზრუნველყოფილი იყო ორივე მისამართზე საკმარისი სიმძლავრის ინტერნეტ მომსახურეობით. ყველა საჭირო სივრცე (ადმინისტრაციული, კალას-ლაბორატორია A და B გარემო) აღჭურვილი იყო შესაბამისი ტექნიკით: პერსონალური კომპიუტერებით, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები, რომელიც გაწერილი იყო სსიპ კოლეჯი ,,ფაზისი” საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის პოლიტიკაში. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი ახორციელებდა საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას; პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით დასტურდება, რომ კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება; ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებდა საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. კოლეჯში ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი იყო სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე. კოლეჯის საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომელიც მოიცავდა როგორც სახელფასო ანაზღაურების, კომუნალური გადასახადების, ისე მომსახურებისა და შესყიდვების და სხვა საჭირო ხარჯს. ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით სსიპ კოლეჯი ,,ფაზისი“ უზრუნველყოფდა საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- „ინფორმაციის ტექნოლოგია“

ექსპერტის განცხადებით, სსიპ კოლეჯი „ფაზისი“ ახორციელებდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,ინფორმაციის ტექნოლოგია”, რომელიც შემუშავებული იყო ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესის“ შესაბამისად. აღნიშნული წესის თანახმად, დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ განხორციელების მიზანშეწონილობა გამომდინარეობს რეგიონში პროფესიული კადრების საჭიროებიდან, დაწესებულების წარმომადგენელთა ინფორმაციით, კოლეჯი მუდმივ კომუნიკაციაშია დამსაქმებლებთან და ასევე, მათ აქვთ ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროგრამის სწავლების გამოცდილებაც. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან. სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის“

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეესაბამებოდა „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით განსაზღვრულს, რომლის მიხედვით დაწესებულების კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იღებს პროგრამის განხორციელების მიდგომებსა და სპეციფიკას, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას, პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციების შესაძლებლობები და სხვ. ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დაადგინეს, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამებოდა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციის ტექნოლოგია” განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; კოლეჯში პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A, B/C გარემოები, რომელშიც განთავსდება 18-18 პროფესიული სტუდენტი. A, B/C გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ფარგლებში გათვალისწინებულია მოდული „გაცნობითი პრაქტიკა“, რომლის ფარგლებში იგეგმება სასწავლო ექსკურსიები პრაქტიკის ობიექტებზე, სადაც პროფესიული სტუდენტი გაეცნობა მომავალი პროფესიის სამუშაო გარემოს და სპეციფიკას. კოლეჯს გაფორმებული აქვს 18 პროფესიული სტუდენტისთვის გაცნობითი პრაქტიკის ფარგლებში სასწავლო ექსკურსია/ექსკურსიების უზრუნველყოფისთვის მემორანდუმები/ხელშეკრულებები შპს „კომპლექს 99“ კომპანიასთან. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამას ,,ინფორმაციის ტექნოლოგია” სულ ახორციელებს 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს ახორციელებს 2 პროფესიული მასწავლებელი, რომელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნებოდა შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამებოდა პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაში იყო საგანმანათლებლო სტანდარტთან. სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ელექტროობა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეესაბამებოდა „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით განსაზღვრულს, რომლის მიხედვით დაწესებულების კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იღებდა პროგრამის განხორციელების მიდგომებსა და სპეციფიკას, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას, პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციების შესაძლებლობები და სხვ. ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დაადგინეს, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,ელექტროობა“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფდა წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის ,,ელექტროობა” განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იყო დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; კოლეჯში პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილი იყო A/C და B გარემოები, რომელშიც განთავსდება 13-13 პროფესიული სტუდენტი. A და C გარემოსთვის გათვალისწინებულია ერთი საერთო სივრცე, გარემო აღჭურვილია 13 პროფესიული სტუდენტისთვის მაგიდა და სკამით, 1 პროფესიული მასწავლებლის მაგიდა/ სკამით, მასწავლებლისთვის კომპიუტერი და პროექტორით სადემონსტრაციოდ; B გარემო აღჭურვილია 13 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები). C გარემოში ელექტროობისთვის განთავსებულია აღჭურვილობა შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლებით კვების ბლოკი ცვლადი და მუდმივი დენისთვის, ვოლტმერი ცვლადი და მუდმივი დენისთვის, ამპერმეტრი ციფრული, სიხშირ მზომი, ლაბორატორიული რეოსტატი და ასე შემდეგ, ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სიის შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ ფარგლებში გათვალისწინებულია მოდული „გაცნობითი პრაქტიკა“, რომლის ფარგლებში იგეგმება სასწავლო ექსკურსიები პრაქტიკის ობიექტებზე, სადაც პროფესიული სტუდენტი გაეცნობა მომავალი პროფესიის სამუშაო გარემოს და სპეციფიკას. კოლეჯს გაფორმებული აქვს 15 პროფესიული სტუდენტისთვის გაცნობითი პრაქტიკას ფარგლებში სასწავლო ექსკურსია/ექსკურსიების უზრუნველყოფისთვის მემორანდუმები/ხელშეკრულებები 3 კომპანიასთან. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამას ,,ელექტროობა” სულ ახორციელებს 19 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიული და დარგობრივ მოდულებს ახორციელებს 8 პროფესიული მასწავლებელი, რომელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს.

დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის

დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით სსსმ პირებს წვდომა ჰქონდათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან. . პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება გათვალისწინებული იყო კოლეჯის ბაზაზე არსებული C გარემოს გამოყენებით, თუმცა გაცნობითი პრაქტიკის მოდულის ფარგლებში სასწავლო ექსკურსიის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულება თანამშრომლობს შემდეგ 3 კომპანიასთან, ს.ს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან"; შპს „მოულდს ენდ მეტალ ჯორჯია" და შპს „შარა-გზამშენი პირველი" რაც დასტურდებოდა შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით/ხელშეკრულებებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით განმავითარებელი რეკომენდაციის თაობაზე, რომელიც ეხებოდა სტუდენტთა საჭიროებების კითხვარების დახვეწას, კერძოდ, რა იგულისხმებოდა სიტყვა „დახვეწაში". ხდებოდა თუ არა საერთოდ დაწესებულებაში სტუდენტების საჭიროების ანალიზი და რის დახვეწას ითხოვდნენ ექსპერტები.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიულ სტუდენტთა საჭიროების დაფიქსირება ხდებოდა, თუმცა ეს ნაწილი საჭიროებს განვითარებას. დაწესებულებამ უნდა შეადგინოს უფრო მიზანმიმართული კითხვები, რომ სწორად მოახდინოს საჭიროებების ამოცნობა. მისი თქმით, შაბლონური კითხვები უნდა ჩანაცვლდეს სტუდენტისთვის გასაგები კითხვებით, აღნიშნული იყო ძალიან ზოგადი და მშრალი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლეოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს თხოვნით, რომ უფრო დაწვრილებით ესაუბრა იმ კომპანიებზე, რომლებიც ჩართულნი იყვნენ აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში.

დარგის ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას სამ კომპანიასთან ჰქონდა ხელშეკრულება გაფორმებული, აღნიშნული ხელშეკრულება დადებული იყო მოდულის „გაცნობითი პრაქტიკის" ფარგლებში, დანარჩენი სწავლის შედეგები მიიღწეოდა სასწავლო დაწესებულებაში.

თამარ კვინიკაძემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით და აღნიშნა დაინტერესდა თუ არა კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლით იმ კომპანიებში რომელთანაც კოლეჯს ჰქონდა ხელშეკრულება გაფორმებული , რამდენი იყო დასაქმებული და რამდენი თვითდასაქმებული.

დარგის ექსპერტის განცხადებით, თვითდასაქმებული და ზოგადად დასაქმების მაჩვენებელი ვისთანაც თანამშრომლობდა კომპანია საკმაოდ მაღალი იყო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით ორივე პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია" და „ელექტროობა" ფარგლებში, ახორციელებდა თუ არა დაწესებულება კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის განსაზღვრას მითუმეტეს, როცა ამ მიმათულებით სააგენტო ჩაატარა ტრენინგები კოლეჯებისთვის.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება ყოველივე ზემოთ აღნიშნულს ახორციელებდა. კოლეჯში მუშაობდა კარიერისა და პროფორიენტაციის მხარდაჭერის სერვისი, ჰქონდათ დასაქმებულების შედგენილი სია. აღსანიშნავია, რომ კოლეჯს მჭიდრო კომუნიკაცია ჰქონდა კურსდამთავრებულებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, კვირის განმავლობაში იკრიბება კოლეჯში პერსონალი და განიხილება არსებული პრობლემები, პროგრამები, საკითხები სტუდენტებთან დაკავშირებით, თუმცა ამის ამსახველი არაფერი ჰქონდა კოლეჯს. დღესდღეობით ხდება ყველაფრის აღწერა, კეთდება აუდიო ჩანაწერი. რაც შეეხება პროგრამის ფარგლებში, დაწესებულებას ჰქონდა მემორანდუმები, მაგრამ ახლა არსებული მოდულური პროგრამა არ ითვალისწინებდა საწარმო პრაქტიკას. მისი თქმით , სტუდენტების კითხვართან დაკავშირებით მოხდა მისი გადაწყობა, ვმუშაობდით თითოეულ სტუდენტთან, ჩართული იყო მასწავლებლებიც აღნიშნულ პროცესში და მათ მოჰქონდათ პრობლემური საკითხები რაც სტუდენტთან იყო კავშირში. რაც შეეხება კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს, მაგალითად, ელექტროობის პროგრამის ფარგლებში თამამად შეიძლება ითქვას, რომ დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი იყო

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს განხილულ საკითხთან მიმართებაში კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეაჯამა განხილული საკითხი და აღნიშნა, რომ საბჭო ექსპერტების მიერ წარმოდგენილი დასკვნის და გამართული განხილვის შედეგად, თვლის, რომ უნდა ჩაინიშნოს მონიტორინგი პირველი სტანდარტის 1.2 კომპონენტში, მეორე სტანდარტის 2.4 კომპონენტში "ინფორმაციის ტექნოლოგიის" პროგრამისთვის, მეოთხე სტანდარტის ყველა კომპონენტში და მეხუთე სტანდარტის 5.1 კომპონენტში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ფაზისში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „ფაზისში“ (ს/კ:215101716) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - კოლეჯ „ფაზისში“ პირველი სტანდარტის 1.2 კომპონენტში, მეორე სტანდარტის 2.4 კომპონენტში "ინფორმაციის ტექნოლოგიის" პროგრამისთვის, მეოთხე სტანდარტის ყველა კომპონენტსა და მეხუთე სტანდარტის 5.1 კომპონენტში. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 30 ნოემბერი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ვიზიტი დაწესებულებაში.

მეოთხე საკითხი: "სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამაში „სასტუმროს მომსახურება“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს წევრმა, ნატა კვაჭანტირაძემ განაცხადა თვითაცილება, რადგან წარმოადგენდა დაინტერესებულ მხარეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ჯანელიძე მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 10 აპრილის № 398163 ბრძანების (ცვლილება ბრძანებაში N416886 13.04.2023)საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო "სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმროს მომსახურება“ მონიტორინგის მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციას. ვიზიტი შედგა 2023 წლის 19 აპრილს სტეფანწმინდაში. ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ შეჯერებული დღის წესრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში შედგა შეხვედრა დაწესებულების ხელმძღვანელთან. ჩატარდა გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფაზე, დაწესებულების ადამიანური რესურსების, მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებულ იქნა პროგრამებთან მიმართებაში

დაწესებულების სასწავლო გარემო/ ინფრასტრუქტურა, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები. ასევე შემოწმდა კოლეჯის ბიბლიოთეკა და ჯგუფი გაესაუბრა ბიბლიოთეკარს. განხორციელდა ვიზიტი პროგრამის პრაქტიკის ობიექტებზე. ადგილზე ჩატარდა გასაუბრება აღნიშნულ გარემოზე და იქ განთავსებულ მატერიალურ რესურსზე პასუხისმგებელ პირებთან. ვიზიტის დროს შემოწმდა თუ რამდენად შესრულდა წინა ვიზიტის დროს გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციები. კოლეჯის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს ამომწურავად უპასუხეს დასმულ შეკითხვებს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

IV სტანდარტი

ინდიკატორი 4.1.1.1 „მეტწილადაა დაკმაყოფილებული, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები რიგ შემთხვევებში საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ: - საქმისმწარმოებლის პოზიციისათვის ერთ-ერთ საკვალიფიკაციო მოთხოვნად გაწერილია „უმაღლესი განათლება ან/და სერტიფიცირება“, სასურველია, კოლეჯმა, დააკონკრეტოს რას გულისხმობს სერტიფიცირებაში, რადგან გრადაცია უმაღლეს განათლებასა და სერტიფიცირებას შორის საკმაოდ დიდია, მით უმეტეს, რომ კვალიფიკაციის ველში მოთხოვნილია ფილოლოგია, სამართალმცოდნეობა, ან/და ოფისის მენეჯერის, საოფისე საქმის სპეციალობა. ფილოლოგიის, სამართალმცოდნეობის უმაღლესი განათლების ფლობა არ გულისხმობს საქმისწარმოების საკითხების ცოდნას. შესაბამისად, სასურველია, კოლეჯმა დააზუსტოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები; - რიგი პოზიციების შემთხვევაში, კოლეჯის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შეიძლებოდა იმგვარად განსაზღვრულიყო, რომ კოლეჯს შეძლებოდა შესაბამისი კომპეტენციის კადრების აყვანა, მაგალითად: დამლაგებლის/მძღოლის საკვალიფიკაციო მოთხოვნად მითითებულია პროფესიული ან/და სრული ზოგადი განათლება, ხოლო კოლეჯის ერთ-ერთი მძღოლი ფლობს საბაზო (არასრული საშუალო) განათლებას, რის გამოც ის ვერ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნას; - ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით რიგ შემთხვევაში არასწორადაა გაწერილი ანგარიშგების კომპონენტიც, მაგალითად, მძღოლი ანგარიშგებას ახდენს დირექტორის წინაშე, მაშინ, როდესაც მძღოლის უშუალო ხელმძღვანელი სამეურნეო მართვის მენეჯერია. მძღოლის ერთ-ერთ ფუნქციად კომპეტენციის ფარგლებში შემოსული კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი პასუხის მომზადებაა. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04- 55) დამტკიცებული „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის“ ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობების და ფუნქცია მოვალეობების გადახედვა/დარეგულირება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 ივნისი“ - რეკომენდაცია შესრულებულია.

ინდიკატორი 4.1.1.3 „მეტწილადაა დაკმაყოფილებული, მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებში ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ უნდა გადახედოს შიდა მარეგულირებელ აქტს - „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას“ და დოკუმენტის 3.9 მუხლის დებულებები მოიყვანოს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. კერძოდ, კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N04-03 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის 3.9 მუხლში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი - „თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი და დაურთავს კოლეჯის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენილ პროგრამის პროექტს“, ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით თავად პროცესი ექვემდებარება მონიტორინგს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტს, შესაბამისად მოცემული დებულება წინააღმდეგობაშია 4.1.1.3 სტანდარტის მოთხოვნებთან. მოცემული აქტივობისათვის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებული „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის“ ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა/გაუმჯობესება/ახალის შექმნა, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 ივნისი“ - რეკომენდაცია შესრულებულია

ინდიკატორი 4.1.2.2 „არ არის დაკმაყოფილებული, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები ვერ უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, კერძოდ კოლეჯის პერსონალის ნაწილის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ამასთან ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში საკადრო ცვლილების ორი ფაქტი დაფიქსირდა (შრომის უსაფრთხოების სპეციალისტისა და ინკლუზიური განათლების მართვის სპეციალისტის შემთხვევაში), ერთ შემთხვევაში დაწესებულებამ განახორციელა დასაქმებულის გადაყვანა ერთი პოზიციიდან მეორეზე, ხოლო მეორე შემთხვევაში - აიყვანა ახალი კადრი. საკადრო ცვლილებების დასტურად წარმოდგენილია პერსონალის განცხადებები, თუმცა ცალსახაა, რომ პროცესი დაწესებულების მოთხოვნით განხორციელდა, ვინაიდან არც ერთი მათგანი არ აკმაყოფილებდა დაკავებული თანამდებობისათვის კოლეჯის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, ამასთან საყურადღებოა, რომ კოლეჯის მიერ ახლად აყვანილ ინკლუზიური განათლების მართვის სპეციალისტს უმაღლესი განათლება აქვს, თუმცა დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრული სამუშაო გამოცდილება დოკუმენტით არ უდასტურდება“ -რეკომენდაცია შესრულებულია.

ინდიკატორი 4.2.1.1 „მეტწილადაა დაკმაყოფილებული, კოლეჯს არ განუხორციელებია პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა.“- რეკომენდაცია შესრულებულია.

V სტანდარტი

ინდიკატორი 5.1.1.5 „მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, თუმცა დაწესებულებაში პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით, კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა ჰყავდეს არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რისთვისაც კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04- 55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია მატერიალური, ფინანსური რესურსის გაუმჯობესება, უსაფრთხოების ნორმების დაცვის გაუმჯობესება, ხოლო ქვეაქტივობად მოცემულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის გადამზადება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 აგვისტო“ - რეკომენდაცია შესრულებულია.

ინდიკატორი 5.1.2.3 „მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, თუმცა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული არ არის კომპეტენტურ ორგანოსთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, კოლეჯმა წარმოადგინა წერილი, რის მიხედვითაც დასტურდება, რომ კოლეჯის მოთხოვნა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული იყოს კომპეტენტურ ორგანოსთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში რეგისტრირებულია შემდეგი ნომრით №1513980; 07.06.2022წ. ამასთან, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო

ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია მატერიალური, ფინანსური რესურსის გაუმჯობესება, უსაფრთხოების ნორმების დაცვის გაუმჯობესება, ხოლო ქვეაქტივობად მოცემულია უსაფრთხოების ნორმების გაუმჯობესება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 აგვისტო“ - რეკომენდაცია შესრულებულია.

II სტანდარტი
პროგრამებისათვის საერთო რეკომენდაცია:
განმავითარებელი რეკომენდაცია
ინდიკატორი 2.3.1.2 – „რეკომენდებულია „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული) შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა“-ში გაიწეროს რა შემთხვევაში ხდება პროგრამაში ცვლილებების განხორციელება, რა ტიპის ცვლილებების განხორციელების დროსაა დაწესებულება ვალდებული აღნიშნული აცნობოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და რა ვადაში, რა ვალდებულება აქვს დაწესებულებას დუალურ პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დროს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში როგორ იქცევა დაწესებულება, იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი მიიღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის“ -არ არის შესრულებული

განმავითარებელი რეკომენდაცია
ინდიკატორი 2.4.2.3 – „რეკომენდებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებლ წესში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა „შევსებული შეფასების ინსტრუმენტების“ ნაცვლად ჩანაცვლდეს „შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები““ -არ არის შესრულებული

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“

ინდიკატორი 2.2.1.7. „რეკომენდირებულია, დაწესებულებამ გააანალიზოს პროგრამის განხორცილებისთვის საჭირო შემოსავლებისა და ხარჯების სახეები, ოდენობები, რენტაბელობის ზღვარი და ამ ანალიზის მიხედვით იმგვარად უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომ საფრთხე არ შეექმნას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ასევე პროფესიულ სტუდენტებს სრულად ჰქონდეთ პროგრამის განხორცილებისთვის საჭირო საკმარისი რესურსი.“-შესრულებულია.
ინდიკატორი 2.4.1.5. – „რეკომენდებულია, კოლეჯმა გაზარდოს პარტნიორი დაწესებულებების რიცხვი, მათ შორის, ითანამშრომლოს საერთაშორისო სტანდარტების მქონე სასტუმროებთან, რითაც ხელს შეუწყობს მოცემული პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმებას.“- არ არის ბოლომდე შესრულებული, წარმოდგენილია მიმოწერა „ინტურისტთან“, თუმცა ჯერ საბოლოო შედეგი დამდგარი არაა.
ინდიკატორი 2.4.2.1- „პროფესიული მოდულების შეფასების ინსტრუმენტებში შესაფასებელი საკითხები სრულად ფარავდეს მოდულის შესაბამის სწავლის შედეგს. პროფესიული მოდულების შეფასების ინსტრუმენტებში შესაფასებელი საკითხები სრულად ფარავდეს მოდულის შესაბამის სწავლის შედეგს.“ - შესრულებულია.
ინდიკატორი 2.2.1.3 - „რეკომენდებულია, პედაგოგები დროდადრო გადამზადნენ, რათა აიმაღლონ დარგობრივი უნარები.“ არ არის შესრულებული

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ინდიკატორი 2.1.1.2 -ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები, პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესაბამისობის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრულ მეოთხე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, თუმცა, ერთი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში დაფიქსირდა პროგრამაზე დაშვების შეუსაბამობა, ვინაიდან პროფესიული სტუდენტის, ო.ტ.-ს მიერ წარმოდგენილი იყო საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დარღვეულია პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა და ინდიკატორი 2.1.1.2 არ არის დაკმაყოფილებული, რაც გულისხმობს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება ვერ უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

ინდიკატორი 2.1.1.3 კოლეჯს პროგრამაზე, „სასტუმროს მომსახურება“, განსაზღვრული აქვს კვოტა 10 პროფესიული სტუდენტით. ექსპერტთა მხრიდან, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული ინფორმაციის გადამოწმების შედეგად, აღმოჩნდა, რომ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 2022 წლის მიღებისათვის ჩარიცხულია 10 პროფესიული სტუდენტი, ხოლო 2019 წლის მიღების სამ პროფესიული სტუდენტს ასევე აქვს აქტიური სტუდენტის სტატუსი. ანუ, ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული კვოტის 10 პროფესიული სტუდენტის ნაცვლად, ფიქსირდება 13 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 არ არის დაკმაყოფილებული, რადგან დარღვეულია ზღვრული ოდენობის მეთოდოლოგიის შესრულების პროცესი.

რეკომენდაციების შეჯამება

ზოგადი განმავითარებელი რეკომენდაცია: ვინაიდან კოლეჯს აქვს ფილიალები სხვადასხვა რეგიონში, რომლებიც საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთისგან და ფილიალებში ადმინისტრაციული პერსონალი შეზღუდული რაოდენობითაა წარმოდგენილი, სასურველია, გამოყენებული იქნას საქმის წარმოებაში ერთიანი მიდგომები. კერძოდ, კონსოლიდირებული მარეგულირებელი დოკუმენტების თუ საგანმანათლებლო პროცესში საჭირო სხვა მასალის, მტკიცებულებების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი იქნას ერთიანი საკომუნიკაციო სისტემით. მაგალითად, დოკუმენტაცია ატვირთული იყოს ონლაინ პლატფორმაზე, სადაც კოლეჯის თანამშრომლებს კომპეტენციის ფარგლებში ექნებათ წვდომა. ეს გააიოლებს საქმისწარმოებას და ვთქვათ, მსგავსი ვიზიტის დროს უფრო მობილურს და მოქნილს გახდის ინფორმაციის მიწოდებას დაინტერესებული მხარეებისათვის. ასევე მონიტორინგის, თუ სხვა საქმისწარმოების დროს სასურველია წინასწარ იქნას ექსპერტებისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია მობილიზებული და მოწესრიგებული.

განმავითარებელი რეკომენდაციები

ინდიკატორი 2.1.1.2.- სასურველია, 2023 წლის მიღებისათვის „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესში“ ჩასწორდეს აპლიკანტთა შეფასების თარიღის შესახებ ინფორმირების ვადები.

ინდიკატორი 2.1.1.8. სასურველია, დაწესებულებამ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილებით დამტკიცებული რეგულაციის, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ თანახმად შესაბამისობაში მოიყვანოს პროგრამების ძირითად დოკუმენტებში მითითებული ჩანაწერი

კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ და კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელ პირობად გაწეროს, პროგრამით განსაზღვრული კრედიტების ათვისება, შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

ინდიკატორი 2.2.1.1. სასურველია, დაწესებულებამ ჟურნალის ფორმის წარმოებასთან დაკავშირებით, 2022 წლისა და შემდგომ მიღებებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან გაითვალისწინოს „პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 26 დეკემბრის N138/ნ ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნები.

ინდიკატორი 2.2.1.3 -სასურველია, დარგობრივი მოდულების განმახორციელებლები გარდა სასწავლო პროცესთან, შეფასებასთან დაკავშირებული თემატიკისა, პერიოდულად გადამზადდეს მომსახურების/სასტუმროს სფეროში არსებული სიახლეებისა და მიდგომების გაცნობის მიზნით.

ინდიკატორი 2.2.1.6 სასურველია, დაწესებულებამ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაციაში, აუცილებელ კომპონენტად გაითვალისწინოს ინდ. გეგმის შემუშავების პროცესში სსსმ ან/და შშმ პროფესიული სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა.

ინდიკატორი 2.3.1.1 სასურველია, „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული) შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა“-ში გაიწეროს რა შემთხვევაში ხდება პროგრამაში ცვლილებების განხორციელება, რა ტიპის ცვლილებების განხორციელების დროსაა დაწესებულება ვალდებული აღნიშნული აცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და რა ვადაში, რა ვალდებულება აქვს დაწესებულებას დუალურ პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დროს.

ინდიკატორი 2.4.1.2. სასურველია, გადაიხედოს მიდგომა, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, დოკუმენტში „შუალედური შეფასების ჩატარების წესი და პირობები მოდულურ, დუალურ და ინტეგრირებულ პროგრამებზე“ (მუხლი 14.) ისე, რომ მეტად იქნეს გათვალისწინებული სტუდენტის უფლება.

ინდიკატორი2.4.1.2. სასურველია, დაზუსტდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების პირობები, მათ შორის სტატუსის შეჩერების ერთ-ერთ დამატებით გარემოებად გაიწეროს დაწესებულებასა და სასწავლო საწარმოს შორის ხელშეკრულების შეწყვეტის გარემოება 416-ე დადგენილების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.4.1.5. სასურველია, დაწესებულებამ ყველა ხელშეკრულება, რომლებიც გაფორმებულია 2022 წლის 9 აგვისტოს შემდეგ, ან უკვე გაფორმებულ ხელშეკრულებებში შევიდა ცვლილებები, მოიყვანოს სრულ შესაბამისობაში საქართველოს მთავრობის 416-ე დადგენილების (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ) მოთხოვნილ პირობებთან.

ინდიკატორი 2.4.1.5. -პროგრამის ძირითად დოკუმენტში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილად მითითებულია სასტუმრო „სნო“ - რომელიც რეალურად არ წარმოადგენს ამ ეტაპზე პროგრამის პარტნიორს. სასურველია, აღნიშნული დაკორექტირდეს პროგრამის დოკუმენტში.

ინდიკატორი 4.1.1.3. სასურველია დაწესებულებამ გადახედოს ხარისხის მართვის სპეციალისტის ანგარიშგების ვალდებულებებს.(იხილეთ ინდიკატორის აღწერა);

ინდიკატორი 4.1.2.2. სასურველია, გადაიხედოს კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიზანშეწონილობა; პოზიციებისათვის საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, შესყიდვების სპეციალისტი საკვალიფიკაციო მოთხოვნებში დაიშვას

პროფესიული განათლებაც, ვინაიდან აღნიშნული მიმართულებით არსებობს პროფესიული კვალიფიკაციები, სასურველია კოლეჯი თავადვე ახდენდეს პროფესიული განათლების მქონე ადამიანების დასაქმების წახალისებას; საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მითითებული კომპიუტერული პროგრამების, უცხო ენების თუ ნორმატიული აქტების ცოდნა პირად საქმეებში დადასტურებული იქნას შესაბამისი სერთიფიკატით/დიპლომით/დოკუმენტით ან დაწესებულებამ თავად უზრუნველყოს გასაუბრების ან შიდა ტესტირების დოკუმენტირება.

მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომი იყო პროფესიული სტუდენტებისთვის. კოლეჯის ტერიტორიაზე სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას ახორციელებენ დამლაგებლები და დამხმარე თანამშრომლები. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია დამლაგებელთა შრომითი ხელშეკრულებები და სამუშაო აღწერილობები, სადეზინფექციო საშუალებების მოთხოვნის ჟურნალები და სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების შესყიდვის დოკუმენტები. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. კოლეჯის შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. დ, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები ასევე მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სასტუმროს მომსახურება“

ექსპერტის განცხადებით, სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მისიაა მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის; ხელი შეუწყოს ინდივიდის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას, ასევე უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდას. დაბა სტეფანწმინდის ლოკაციაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით. პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები განსაზღვრულია შესაბამისი პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით/ ჩარჩო დოკუმენტით - სასტუმრო, რესტორანი და კვება / Hotel, Restaurants and Catering, სარეგისტრაციო ნომერი 10117. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N04-03 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“, რომლის მიხედვითაც პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება აფასებს შემდეგ ფაქტორებს: A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; B სასწავლო გარემოში (კომპიუტერულ კლასში) პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის ობიექტზე ყოფნის პერიოდი; პროფესიული პროგრამების პრაქტიკის

ხანგრძლივობა; ორ ცვალში სწავლების შესაძლებლობა; კომბინირებული გარემოს არსებობის შესაძლებლობა, მაგალითად A და B გარემო ან A და C ერთ სივრცეში; სტუდენტთა ჯგუფების რაოდენობა (ერთი ან რამდენიმე პროგრამის ფარგლებში), რომელიც სარგებლობს აღნიშნული სასაწავლო გარემოთი; პროგრამის სასწავლო გეგმის თავისებურებანი; პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელების შესაძლებლობა; პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა, სასწავლო გარემოთა მაქსიმალური დატვირთვის ანალიზი. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვის ანალიზი და დასაბუთება. კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ორ სასტუმროსთან, რომელთაგანაც თითოეული უზრუნველყოფს 10 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას პროგრამის ფარგლებში. აღნიშნულის გათვალისწინებით კოლეჯს პროგრამაზე „სასტუმროს მომსახურება“ განსაზღვრული აქვს კვოტა 10 პროფესიული სტუდენტით. „სასტუმრო მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში. დარგის ექსპერტის მიერ გადამოწმდა მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი და დადგინდა რომ რელევანტურია და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სასტუმრო მომსახურების“, განხორციელებისათვის სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი“ არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით, ფლობდა ძირითად სასწავლო ფართს, რომელიც მდებარეობს ყაზბეგის რაიონში დაბა სტეფანწმიდაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ შერჩეული სასწავლო გარემო შეადგენს: - A სასწავლო გარემო - განთავსებულია 10 პროფესიული სტუდენტებისათვის მაგიდა და სკამი; პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი; თითო კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის; დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი, 1 ცალი; თვალსაჩინოებები; რუკები; დაფა 1 ცალი. - B სასწავლო გარემო - შერჩეულია №208 აუდიტორია, სადაც განთავსებულია 10 პროფესიული სტუდენტისათვის მაგიდა და სკამი; პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი; 10 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის; 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის; დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი, 1 ცალი, დაფა 1 ცალი; კომპიუტერებში ჩატვირთულია სასტუმროს მართვის პროგრამა; კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები) 1 ცალი; - კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის მიზნებისათვის მოწყობილი აქვს ოთხი B სასწავლო გარემო, თითოეული აუდიტორია გათვლილია 10 პროფესიული სტუდენტისათვის და აღჭურვილია მოცემული სასწავლო გარემოს აღჭურვილობისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსით. - პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ორ სასტუმროსთან - სასტუმრო „თაუერ ყაზბეგი“ და სასტუმრო “KETINO’s HOME”, სადაც გატანილია პროგრამის ყველა პრაქტიკული ნაწილი. ხელშეკრულების მიხედვით თითოეული პრაქტიკის ობიექტი იღებს ვალდებულებას ერთდროულად მოემსახუროს 10 პროფესიულ სტუდენტს ერთ ცვლაში.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა იყო - 12. მათ შორის 4 იყო პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. გასაუბრებისას დადგინდა, რომ ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირები სწავლებას ახდენენ სხვა პროგრამების ფარგლებშიც. დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებლების დატვირთვები. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ ეწინააღმდეგებოდა

ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“ და კვირეული დატვირთვა არ აღემატებოდა 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს ჰქონდა პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომი იყო ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენებოდა სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა ჰქონდათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იყო სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა იყო ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. შესაბამისობაშია, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების / ინფორმაციის /მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. პროგრამა „სასტუმროს მომსახურება“ გულისხმობდა ისეთი შედეგების განვითარებას , როგორიცაა: დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურის განხორციელება; დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა; სასტუმროს შიდა, მარტივი მარკეტინგული საქმიანობის შესრულება; სასტუმროს უსაფრთხოების წესების დანერგვა; სასტუმროში პრობლემური სიტუაციების მართვა; ცვლების მონაცვლეობის კონტროლი; სასტუმროს ძირითადი და დამატებითი მომსახურებების მიწოდება და სხვა.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენელსა და პროფესიულ სტუდენტებს. პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენელი ადასტურებს კოლეჯთან კონსტრუქციულ თანამშრომლობას, ასაბუთებს ამ თანამშრომლობის მნიშვნელობას და აქვს მზაობა უზრუნველყოს კურსდამთავრებულთა დასაქმება. სასტუმრო “KETINO’s HOME”-ს დამფუძნებელი ამავდროულად იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „სასტუმრო მომსახურების“ მოდულის განმახორციელებელი პირი და პრაქტიკის კოორდინატორი, ჩართული იყო პროგრამის შემუშავების პროცესში და კარგად იცნობს პროგრამის მოთხოვნებს. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ კოლეჯს გაეზარდა პარტნიორი დაწესებულებების რიცხვი, მათ შორის, ითანამშრომლოს საერთაშორისო სტანდარტების მქონე სასტუმროებთან, რითაც ხელს შეუწყობდა მოცემული პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმებას. აღნიშნულთან დაკავშირებით კოლეჯის წარმომადგენლის განმარტებით, მოლაპარაკება ჰქონდათ სასტუმრო რუმსთან, თუმცა ამ ეტაპზე საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა ვერ მოხერხდა. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება სასტუმრო „ინტურისტ ყაზბეგთან“. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს წინა ვიზიტის დროს გაცემულ რეკომენდაციას, რომ მნიშვნელოვანია თანამედროვე სტანდარტების მქონე სასტუმროსთან თანამშრომლობა, თუმცა ითვალისწინებს იმ ფაქტსაც, რომ სტეფანწმინდაში სასტუმროების 90% საოჯახო ტიპის სასტუმროებს წარმოადგენს, თანამედროვე სტანდარტების სრულად შესაბამისი სასტუმრო რეგიონში ბევრი არაა და ჯერ კიდევ გამოწვევაა მათი დაინტერესება ჩაერთონ პროფესიულ განათლებაში.

თამარ კვინიკაძემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და აღნიშნა რომ პროფესიული უნარების სააგენტოში იყო შესაბამისი გუნდი, რომელიც ურთიერთობდა კერძო სექტორებთან, ხომ არ მიუმართავს დაწესებულებას, რომ ისინიც ჩარეულიყვნენ აღნიშნულ სასტუმროებთან ურთიერთობაში და ესარგებლათ მეტი მხარდაჭერითი სერვისებით, რაც ჰქონდა სააგენტოს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, რა თქმა უნდა მიმართვა გაკეთდა არა მარტო სტეფაწმინდაში, არამედ სხვა პრაქტიკის ობიექტებთან დაკავშირებითაც. მისი თქმით, რუმსის დირექტორი კონტაქტზე საერთოდ არ გამოდიოდა, მათ ჰყავდათ მენეჯერი, რომელიც დირექტორის გარეშე გადაწყვეტილებას ვერ იღებდა. დაწესებულება აგრძელებს სხვა სასტუმროებთან თანამშრომლობას, აღნიშულთან დაკავშირებით საქმის კურსში ჩაყენებულია პროფესიული უნარების სააგენტო და სავარაუდოდ მიიწევა დასახული შედეგები. რაც შეეხება ზედაზენს, ძალიან ძლიერი კომპანიაა და მას ბაზრის 80% უკავია. მისი თქმით , აქ პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ ხელმძღვანელობასთან ვერ ხერხდებოდა შეხვედრა და აღნიშნულთან დაკავშირებით კოლეჯს დაეხმარა პროფესიული უნარების სააგენტო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, თუ პროგრამის რა ნაწილი ხორციელდებოდა იმ კომპანიებთან, რომლებთანაც დაწესებულებას ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული, ვინაიდან აღნიშნული დაწესებულებები დუალური სწავლების დროს იყო თანაგანმახორციელებლები და იგივე კრიტერიუმებით უნდა იყოს შეფასებული, როგორც მათი პერსონალი, თუმცა ექსპერტების მსჯელობიდან ირკვევა, რომ აღნიშნული ობიექტები ვერ აკმაყოფილებდნენ იმ თანამედროვე დონეს, რაც უნდა იყოს განსაზღვრული.

დარგის ექსპერტის განცხადებით, მოდულების ე.წ. პრაქტიკული სწავლის შედეგების, რაც გულისხმობს პრაქტიკული სწავლის მიღწევადობას ძირითადად მიიღწევა პრაქტიკის ობიექტებზე. მისი განცხადებით, დაწესებულებას ხელშეკრულება ან მემორანდუმი, რომ გაეფორმებინა რუმსთან მაშინ აღნიშნული საკითხი მოიხსნებოდა დღის წესრიგიდან, თუმცა იმ სასტუმროებზე, რომლებზეც ახლა მიმდინარეობდა განხილვა, ადგილზე შეფასების შედეგად მაღალი სტანდარტების დონეს ვერ აკმაყოფილებდნენ.

თამარ კვინიკაძემ, მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით და აღნიშნა, რომ მათი საუბრიდან გამომდინარე, კადრი, რომელიც მომზადდება არსებულ სასწავლო საწარმოში დუალურ პროგრამის ფარგლებში, ვერ შეიძენდა უნარებს და ცოდნას, რომელიც გათვალისწინებულის ამ პროგრამით.

დარგის ექსპერტის განცხადებით, კურსდამთავრებული შეძლებდა სამომავლოდ დასაქმებას, უბრალოდ აღნიშნული კადრი დააკმაყოფილებს დაბალ და საშუალო კლასის სასტუმროების მოთხოვნებს და მომსახურების სტანდარტს. მისი თქმით, სასტუმროები რომლებთანაც ხელშეკრულება ჰქონდა კოლეჯს დადებული იყო საოჯახო კლასის ტიპის და სასურველი იყო მათი გაუმჯობესება და განვითარება, რაც სტუდენტებისთვის იქნებოდა სასიკეთო.

ექსპერტის განცხადებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, წინა ვიზიტის შემდეგ განახლდა სამზარეულო აღჭურვილობა, შეიცვალა და მოწესრიგდა შრომის უსაფრთხოების ნაწილი. ყველა შედეგის მიღწევა შესაძლებელი იყო ამ ეტაპზე, ვინაიდან ამჟამად მხოლოდ ორი განმახორციელებელი ჰყავდა პროგრამას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით და აღნიშნა, რომ იქედან გამომდინარე რაც ექსპერტმა ისაუბრა კიდევ სჭირდებოდა გაუმჯობესება და სასურველი იყო მაღალი კლასის სასტუმროც ჩართულიყო კოლეჯთან თანამშრომლობაში. დღევანდელი მდგომარეობით, რაც სასტუმროში იყო მოცემული შესაძლებელი იყო თუ არა იმ სწავლის შედეგები მიღწევა, რაც პროგრამაშია წარმოდგენილი.

დარგის ექსპერტის განცხადებით, სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელი იყო, აქ საუბარი იყო გაუმჯობესებაზე და განვითარებაზე და ამას გულისხმობდა რეკომენდაციაც. აღნიშნულ დაწესებულებაში რესეფშენი იყო მცირე ზომით წარმოდგენილი, ხსნარების ჩამონათვალი

შეიძლებოდა არ ყოფილიყო 30 დასახელების და ყოფილიყო ხუთი დასახელების, თუმცა მოდელირების ფორმატში სწავლის შედეგები მიიღწევა, მაგრამ არ არის ის მაღალი, კლასი რაც უნდა იყოს.

საბჭოს წევრის, ნინო ველთაურის განცხადებით, დამაბნეველი იყო დარგის ექსპერტის პოზიცია, ვინაიდან იმისთვის, რომ კურსდამთავრებულებმა მაღალი დონის სასტუმროში მუშაობა დაიწყო,ს სჭირდებოდა უფრო მაღალი დონის ცოდნა, ამავდროულად ამბობდა იმას, რომ სწავლის შედეგები მიიღწეოდა ყველაფერში, თუმცა კურსდამთავრებულს მაინც დასჭირდებოდა კვალიფიკაციის გაუმჯობესება. მისი თქმით, თუ სწავლის შედეგებით იმ სტანდარტების ცოდნა არ გადაიცემოდა, რაც მაღალი დონის სასტუმროს სჭირდება, მაშინ ამას უნდა დარქმეოდა სხვა სახელი. პრაქტიკის ობიექტი უნდა ყოფილიყო ისეთი, რომ კურსდამთავრებულებისთვის გამოემუშავებინა ის უნარჩვევები, რომელიც საკმარისი იქნებოდა ყველა ტიპის სასტუმროსათვის.

დარგის ექსპერტის განცხადებით, ექსპერტებმა მონიტორინგის ფარგლებში გამოიყენა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები და მათ მიერ კიდევ ერთხელ მოხდა ადგილზე გადამოწმება შესრულდა თუ არა გაცემული რეკომენდაციები, თუმცა ეს სავალდებულო არ იყო, შესაბამისად კოლეჯმა არ დაიმატა კიდევ ერთი დაწესებულება, როგორც დარგის ექსპერტის შეფასებით, ითვალისწინებდა რომ იყო მაღალმთიანი რეგიონი, სტუდენტების მოზიდვა და კოლეჯის ცნობადობა ძალიან ჭირდა განვითარების თვალსაზრისით, ამიტომ ექსპერტმა ჩათვალა, რომ აღნიშნული ორი სასტუმრო, რომელთანაც გაფორმებული იყო მემორანდუმი ხელშეკრულება თანამშრომლობის , სწავლის შედეგები მიიღწეოდა, თუმცა ეს არ იქნებოდა ისეთი მაღალკვალიფიცირებული კადრი, როგორიც მაგალითად „ბილტმორში“ გადამზადებულია. დაწესებულებას უნდა დაემატებინა ერთი პარტნიორი ორგანიზაცია, მაგრამ რეალურად ვერ დაიმატეს სხვადასხვა მიზეზების გამო.

საბჭოს წევრის, ნინო ველთაურის განცხადებით, სასტუმრო რუმსს, ისევე როგორც სხვა დიდ სასტუმროებს ჰქონდათ უდიდესი დანაკლისი პროფესიული კადრების. ყველა სასტუმრო იყო ბოლომდე მოტივირებული იმისათვის, რომ ითანამშრომლოს ასეთი ტიპის დაწესებულებებთან. განათლების სამინისტროსთან ან სააგენტოსთან კომუნიკაციით და მათი დახმარებით შესაძლებელი იყო იმ მენეჯერულ რგოლებთან დაკავშირება, რომლებიც ამ გადაწყვეტილებებს იღებენ, კომუნიკაციის დამყარება და შედეგებზე გასვლა, აღნიშნული პრობლემა მოგვარდებოდა. მისი თქმით, საოჯახო ტიპის დაწესებულებაში, რომელზეც ექსპერტებმა განახორციელეს ვიზიტი და რომელსაც უდევს დაწესებულებებთან ხელშეკრულება, იცავდნენ თუ არა იმ სტანდარტებს, რა სტანდარტიც ჰქონდა რუმსს, იგულისხმება მომსახურების სტანდარტი, პასუხი იყო არა, შესაბამისად აღნიშნული პრაქტიკის ობიექტზე მსმენელი ვერ ისწავლიდა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, რაც ასევე ნიშნავდა, რომ სტუდენტი ვერ შეძლებდა მაღალი სტანდარტის სასტუმროში მუშაობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, თუ რა იყო მიზეზი იმისა, რომ რუმსის ტიპის სასტუმრო არ მოდიოდა თანამშრომლობაზე დაწესებულებასთან.

დარგის ექსპერტის განცხადებით, მენტალური კუთხით მომსახურების სფეროს სხვანაირად აღიქვამდნენ და არ იყო მათთვის მისაღები. არ ჰქონდათ მზაობა, რომ მომსახურების სფეროში განვითარებულიყვნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

თეიმურაზ ასათიანი: „დარგის ექსპერტმა რამდენჯერმე შეცვალა პოზიცია, პირველ რიგში განცხადა, რომ სასტუმროს ადგილობრივები არ უნდოდათ და ესირცხვილებოდათ დასაქმება, შემდეგ განაცხადა, რომ თვითონ სასტუმროს არ უნდოდა კადრის აყვანა, მაგრამ რეალურად სხვა სურათი იყო მოცემული.
სასტუმრო ROOMS-თან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ საკმაოდ რთულად მოდიოდნენ თანამშრომლობაზე, აღნიშნული შეიძლება მიზეზი იყოს იმისა რომ ხელშეკრულება დუალური სწავლების განხორციელებაზე იყო აღებული გერმანული სტანდარტიდან, რაც შეიძლებოდა ზოგიერთ კომპანიას საერთოდ არ უნდოდეს, იმიტომ რომ მათ მოუწევდათ დაზღვევა, ანაზღაურების გადახდა და სპეციალური ინსტრუქტორის გამოყოფა, რომელსაც ცალკე ფინანსები სჭირდება, ასევე, ცნობადობასთან დაკავშირებით, სტეფაწმინდის კოლეჯის შესახებ იციან, იმიტომ რომ ეს კოლეჯი არ იყო ცალკე მდგომი შენობა, ეს იყო სკოლის შენობის ცალკე ფლიგელი, შესაბამისად ვინც სკოლაში დადიოდა ყველას ეცოდინებოდა კოლეჯის შესახებაც. რეკომენდაციებთან დაკავშირებით, მოგახსენებთ, რომ დაწესებულებას დაწყებული აქვს მუშაობა, ჩვენ ასევე მივმართეთ სააგენტოსაც და ჩაერთვებიან აღნიშნულთან დაკავშირებით. დასაქმებას რაც შეეხება დაწესებულების კადრი 10 დან 10 - ია დასაქმებული. ის ფაქტი, რომ ზოგმა სტუდენტმა პოლიციაში დაიწყო მუშაობა არ ნიშნავდა, რომ ეს დასაქმება არ იყო, კოლეჯი რომ არ დაემთავრებინა ვერ დასაქმდებოდა. დაწესებულება მოხარული იქნება თუ კადრი სტეფანწმინდის რეგიონში დასაქმდება. როგორც ექსპერტმა აღნიშნა ყველაფრით აღჭურვილი იყო კოლეჯი, გარდა იმისა რომ არ იყო ხსნარი, სხვა მიზეზი ჩემთვის უცნობია თუ რატომ არის ეს დაბალი რანგის პრაქტიკის ობიექტი. აღნიშნულ რეკომენდაციებს რა თქმა უნდა კოლეჯი გაითვალიწინებს აღნიშნული საკითხი ადვილად გადასაჭრელია, რადგან სააგენტო ჩაგვერთვება, წერილიც მიწერილი გვაქვს , ჩვენც გავაქტიურდებით. რაც შეეხება მთავარ საკითხს, რაც ხარვეზად იყო დაფიქსირებული, ჩვენთვისაც შოკის მომგვრელი იყო . ეს იყო უყურადღებობით გამოწვეული, რომ ვნახეთ თუ რა მოხდა რეალურად აღმოჩნდა, რომ მათი განაცხადები ფიქსირდებოდა ემისში, დაწესებულება ვერ ხედავს აღნიშნულ საბუთებს შემოტანის დროს, სამ დღიან ვადაში და სიჩქარეში შეცდომა გაიპარა. კოლეჯის შიდა დისციპლინარულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს იყო ნამდვილად დაშვებული შეცდომა, მაგრამ მთავარი ის იყო რომ ამ ბავშვზე რომელიც არ იყო ჩასარიცხი დაიხარჯა სახელმწიფო თანხა, აღნიშნული თანხა დაანგარიშდა და შეტანილი იქნა სახელმწიფოს ანგარიშზე".

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რა პრევენციული ღონისძიებები გაატარა კოლეჯმა, რომ მსგავსი შეცდომა არ განმეორებულიყო და შევიდა თუ არა რაიმე ცვლილება რეგულაციებში, რომელიც დაწესებულებას ავალდებულებს აღნიშნული პროცესების გაკონტროლებას.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პრევენციული ღონისძიებები გატარებულია და რომ არ განმეორდეს მსგავსი შეცდომა, შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც მკაცრად დაიცავს აპლიკანტების საბუთების მიღებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხებთან დაკავშირებით.

თამარ კვინიკაძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, თუ რა ბედი ეწიათ იმ სტუდენტებს, რომლებმაც უკვე გაიარეს რაღაც მოდულები და შემდეგ შეუჩერდათ სტატუსი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სტუდენტს არ ჰქონდა იმის უფლება, რომ გაეკეთებინა ის რაც გააკეთა, თუმცა თვითონ დაწერა განცხადება სტატუსის შეწყვეტაზე. დაწესებულებამ შესთავაზა არასრულ პროგრამაზე გადასვლა, მაგრამ უარი განაცხადა.

ნანი დალაქიშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით და აღნიშნა, თუ რა იგულისხმებოდა შიდა რეგულაციის დარეგულირებაში, ვინაიდან კოლეჯს კვოტის ზევით ჰყავდა ჩარიცხული სტუდენტები ანუ მიღება ჰქონდა კოლეჯს გამოცხადებული, თუმცა იმ დროისთვის, როცა ანკეტა-კითხვარში 10 კაცზე გაკეთდა მიღება, აღნიშნულ სამ სტუდენტს სწავლის დაწყებამდე უნდა დაესრულებინა სწავლა და აღარ იქნებოდა გადაჭარბება, რაც დაწესებულებამ არ გააკეთა, შესაბამისად ექსპერტები დადგნენ ფაქტის წინაშე, რომ იმ პერიოდისათვის უკვე სწავლის დაწყებიდან სამი, ოთხი თვის შემდეგ აღნიშნული 13 აქტიური სტუდენტი სისტემაში ფიქსირდებოდა. აღნიშნული როგორ დარეგულირდება შიდა რეგულაციით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნულის შესახებ კოლეჯს ჰქონდა ინფორმაცია თუმცა, ვინაიდან შიდა რეგულაციაში არ ეწერა ეს, არ ჩაითვალა გადაჭარბებულად, რადგან არ სჭირდებოდა დაფინანსება. დღესდღეობით შიდა რეგულაცია კოლეჯს შეცვლილი აქვს, რომ მსგავსი რამ არ განმეორდეს.

მე - 4 საკითხის განხილვის შემდეგ სხდომას ტოვებდა საბჭოს სამი წევრი. შესაბამისად, კვორუმის არარსებობის გამო, დღის წესრიგით განსაზღვრულ მე-4 საკითზე გადაწყვეტილება ვერ მიიღო საბჭომ, ასევე ვერ განიხილა მე -5 და მე-6 საკითხები. შესაბამისად საკითხების განხილვა ვერ შედგა და შემდეგი სხდომისთვის გადაიდო.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 17:16 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქუჩულორია მარიამ

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქარელის მუნიციპალიტეტი, დაბა აგარა, დ. აღმაშენებლის ქ. N8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	22
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	80
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	95

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქარელის მუნიციპალიტეტი, დაბა აგარა, დ. აღმაშენებლის ქ. N8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. 55
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	24
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76